დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: სინოლოგია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა გელაშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი: მოცემული საბაკალავრო პროგრამის მიზანია, ზოგადი ჰუმანიტარული განათლების ფონზე, სტუდენტებმა შეიძინონ საბაზისო ცოდნა შესასწავლი ქვეყნის, ამ შემთხვევაში ჩინეთის შესახებ, რომელიც საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს: შესასწავლი ქვეყნის ენას, ისტორიას, კულტურას, რელიგიებს, ეკონომიკას და სხვ. სწავლების მიზანია სტუდენტებს თავად გაუჩნდეს ამა თუ იმ საკვანძო და პრობლემატურ საკითხზე შეკითხვების დასმის, მათ შესახებ დისკუსიის, მათზე პასუხის გაცემის სურვილი და უნარი. პროგრამის მიზანია, ზოგადთეორიულ ცოდნასთან ერთად, სტუდენტებმა სათანადოდ შეისწავლონ ჩინური ენა რათა დედანში შეძლონ საჭირო მასალის წაკითხვა, მისი არსის გაგება და შეძლებისდაგვარად, მისი განხილვა გლობალურად ისტორიულ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-ეკონომიკურ ჭრილში.

სწავლის შედეგები: სტუდენტს, ზოგადი ჰუმანიტარული განათლების ფონზე, უნდა გააჩნდეს კონკრეტული საბაზისო ცოდნა სინოლოგის სპეციალობით, რაც გულისხმობს ზოგადად შორეული აღმოსავლეთის რეგიონის კომპლექსურ (ენა, ისტორია, კულტურა, რელიგიები, ფილოსოფიური მოძღვრებები, ლიტერატურის ისტორია, ხელოვნება და სხვ.) შესწავლას, ძირითადი პრობლემების განხილვა-გადაწყვეტის მეთოდების ცოდნას. სტუდენტს უნდა ჰქონდეს უნარი საინფორმაციო წყაროებიდან დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში, ინფორმაციის ეფექტურად მოპოვებისა, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით. მას უნდა შეეძლოს ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

ზოგადჰუმანიტარული განათლების საფუძველზე, სტუდენტი მზად უნდა იყოს სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობისათვის სინოლოგის სპეციალობით. ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სტუდენტს შეეძლება სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში სხვადასხვა ჰუმანიტარული სპეციალობით (სპეციალობათა ჩამონათვალს განსაზღვრავს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები: სინოლოგიის დამატებითი სპეციალობის მქონე ბაკალავრის დასაქმების სფერო განისაზღვრება იმ უფლებებით, რომელიც საზოგადოდ მიენიჭება ჰუმანიტარული მეცნიერების ბაკალავრს. გარდა ამისა, აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოება _ გაღრმავების პირობებში, მათი დასაქმება შეიძლება მოხდეს როგორც პრაქტიკულ სამუშაოებზე შესაბამის ქვეყანაში, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებთან არსებულ სხვადასხვა კერძო ერთობლივ პროექტებში.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: სინოლოგიის დამატებით სპეციალობაზე სტუდენტი მიიღება წინაპირობების გარეშე.

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა 60 კრედიტიანია. 40 კრედიტი დაეთმობა სავალდებულო საგნების შესწავლას, 20 კრედიტი არჩევით საგნებს.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს მესამე სემესტრიდან. სემესტრების მიხედვით კრედიტების აღება სტუდენტზეა დამოკიდებული, რა თქმა უნდა, გამოცხადებული საგნების გათვალისწინებით.